სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

მომსახურე კომერციული ბანკის შერჩევის წესი

შინაარსი


1. ინფორმაცია შემსყიდველზე და მისი საქმიანობა ....................................2

2. შესყიდვის მიზანი ....................................4

3. ბანკის მიერ გასაწევი მომსახურებები ....................................4

4. შერჩევის პროცედურა ....................................7

5. ინფორმაციის კონფიდენციალურობა ....................................8

6. მინიმალური მოთხოვნები ....................................8

7. შერჩევის კრიტერიუმები ....................................9

8. ხელშეკრულების გაფორმება და პირობები ....................................10

დანართი №1. ....................................11

## 1. ინფორმაცია შემსყიდველზე და მისი საქმიანობა

სს “საქართველოს ენერგეტიკული ბირჟა” (ს/კ 404589432) არის საქართველოს ელექტროენერგიის დღით ადრე და დღიური ბაზრების (ბირჟის) ოპერატორი.

“ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ელექტროენერგიის ბირჟა არის დღით ადრე და დღიური ბაზრები, რომელთა ოპერირების ექსკლუზიური ლიცენზია, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 28 მაისის N39/2 გადაწყვეტილებით, მოიპოვა სს “საქართველოს ენერგეტიკულმა ბირჟამ” (შემდგომში - სენბი).

სენბის თანამშრომელების რაოდენობა (მომავალი 3 წლის პროგნოზი) არის 20. ჯამური წლიური სახელფასო ფონდი - 980,000 ლარი.

ბირჟაზე ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მონაწილეებს (მწარმოებლები, ტრეიდერები, მიმწოდებლები, სისტემის ოპერატორები და მსხვილ მომხმარებლები) აქვთ საათობრივი ვაჭრობის შესაძლებლობა. დღით ადრე ბაზარზე მონაწილეებს შეუძლიათ ელექტროენერგიით ვაჭრობა ფიზიკური მიწოდების წინა დღეს გამართული აუქციონის მეშვეობით. დღით ადრე ბაზრის დახურვის შემდეგ, მონაწილეებს შეუძლიათ ივაჭრონ დღიურ ბაზარზე, ელექტროენერგიის ფიზიკურ მიწოდებამდე 1 საათით ადრეც კი.

სენბი ბირჟაზე არის ცენტრალური ფინანსური მხარე, რაც ნიშნავს, რომ ბირჟაზე დადებული ყველა გარიგების ერთი მხარე არის ბაზრის მონაწილე, ხოლო მეორე - სენბი. შესაბამისად, სენბი ვალდებულია ბირჟაზე ელექტროენერგიის გამყიდველებს გადაუხადოს გაყიდული ელექტროენერგიის ღირებულება, ხოლო ბირჟაზე ელექტროენერგიის მყიდველებისგან მიიღოს შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულება.

ბირჟაზე ელექტროენერგიის მყიდველი შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულებას ანაზღაურებს ინვოისის გამოწერის მომდევნო საბანკო დღეს, ხოლო ბირჟის ოპერატორი ელექტროენერგიის მყიდველებთან ანგარიშსწორებას ახდენს ინვოისის გამოწერიდან ორი საბანკო დღის ვადაში.

ინვოისებს გამოწერს სენბი ყოველ კალენდარულ დღეს:

- დღით ადრე ბაზრისთვის – ელექტროენერგიით ვაჭრობის დღეს;
- დღიური ბაზრისთვის – ფიზიკური მიწოდების მომდევნო დღეის.

ბირჟაზე ვაჭრობა მონაწილეების მიერ უზრუნველყოფილია დეპოზიტით, საბანკო გარანტიით ან სენბის მიერ დაშვებული სხვა ფორმით. ამასთან, ბირჟის მონაწილე უფლებამოსილია ივაჭროს (განათავსოს ყიდვის განაცხადი) მხოლოდ მის მიერ წარდგენილი უზრუნველყოფილი თანხის ფარგლებში.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 აპრილის №246 დადგენილებით დამტკიცებული "ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციით" (შემდგომში - კონცეფცია) ბაზრების ოპერირების დაწყება გათვალისწინებულია:

ა) დღით ადრე ბაზარი - 2022 წლის 1 სექტემბრიდან;

ბ) დღიური ბაზარი - 2022 წლის 1 დეკემბრიდან.

კონცეფციის მე-11-მე-15 მუხლების თანახმად, ელექტროენერგეტიკული საწარმო, რომელსაც დაკისრებული აქვს საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება, ელექტროენერგიით ვაჭრობს ბირჟაზე.

ბირჟაზე ელექტროენერგიის მიწოდება-მოთხოვნის მასშტაბის შეფასებისთვის ეს ნიშნავს შემდეგს:

- მიწოდების მხარე - ბირჟაზე გარანტირებულად მოხდება შემდეგი მწარმოებლების ელექტროენერგიის რეალიზაცია:
    - გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულების მქონე მწარმოებელი;
    - მხარდაჭერის სხვა სქემის მქონე მწარმოებელი (მათ შორის, "განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის (ჰიდროელექტროსადგურები) დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის №403 დადგენილებით განსაზღვრული ჰიდროელექტროსადგურები);
    - მწარმოებელი, რომელსაც დაკისრებული აქვს საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება (ელექტროენერგიას ყიდის სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით). ასეთი სადგურების კრიტერიუმები განსაზღვრულია კონცეფციის №1 დანართით.
- მოთხოვნის მხარე - ბირჟაზე ელექტროენერგიას გარანტირებულად შეისყიდის:

- უნივერსალური და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლები (საჯარო მომსახურების გამწევი მიმწოდებელი სემეკის მიერ დადგენილი ტარიფით აწვდის ელექტროენერგიას ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმე ჯგუფს: საყოფაცხოვრებო მომხმარებლებსა და მცირე საწარმოებს; მომხმარებელს, თუ მან დაკარგა მიმწოდებელი);
- სს "ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი" (ესკო) - აფხაზეთის მოხმარების დასაკმაყოფილებლად;
- სისტემის ოპერატორები (ქსელური კომპანიები) - ქსელში დანაკარგების დაფარვის მიზნით.

შედეგად, ბირჟაზე მოხდება ქვეყანაში მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის დაახლოებით 70%-ის ვაჭრობა. 2020 წელს ქვეყნის ჯამურმა მოხმარებამ შეადგინა დაახლოებით 12 მილიარდი კვტ.სთ[1]. წლის განმავლობაში სენბის მხრიდან საბანკო გადარიცხვებზე მოთხოვნას განსაზღვრავს ბირჟაზე ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის მონაწილეების ვაჭრობის შედეგები.

## 2. შესყიდვის მიზანი

შესყიდვის მიზანია ბანკის შერჩევა, რომელიც სენბის გაუწევს მე-3 თავით განსაზღვრულ მომსახურებას.

## 3. ბანკის მიერ გასაწევი მომსახურებები

1. ანგარიშების გახსნა და საბანკო დოკუმენტების (ცნობები, ამონაწერები) მომზადება, **საფასურის/საკომისიოს დარიცხვის გარეშე;**
2. სენბისგან გადარიცხვებზე/გადახდებზე მოთხოვნების შეუფერხებლად მიღება, დამუშავება და შეძლებისდაგვარად მოკლე დროში შესრულება (მათ შორის, 3.10 პუნქტით გათვალისწინებული წესით), რაც მოიცავს:

   **2.1.** სენბის მიერ მოთხოვნილი საბანკო გადარიცხვების შესრულებას ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს რეზიდენტ კომერციულ ბანკებში რეგისტრირებულ საბანკო ანგარიშებზე, **საფასურის/საკომისიოს დაურიცხავად;**

[1] წყარო - www.esco.ge

2.2. სენბის მიერ მოთხოვნილი საერთაშორისო გადარიცხვების შესრულებას (ევროში და აშშ დოლარში).

3. დისტანციურ საბანკო მომსახურება, **საფასურის/საკომისიოს დარიცხვის გარეშე**;

4. სენბის საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე არსებულ ნაშთზე სარგებლის ყოველდღიური დარიცხვა. ამ პუნქტით გათვალისწინებული სარგებელი უნდა ანაზღაურდეს სენბის ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვით, ყოველი თვის დასრულებიდან 2 სამუშაო დღეში;

5. სენბის საბრუნავი კაპიტალის შესაძლო დეფიციტის შევსების მიზნით, საკრედიტო ხაზის დამტკიცება. საბრუნავი კაპიტალის შევსების მიზნით, მოსალოდნელია მოკლევადიანი და გრძელვადიანი, **არაუზრუნველყოფილი** სესხების საჭიროება:

5.1. **მოკლევადიანი** სესხი ეროვნულ ვალუტაში (სავარაუდო ვადა - 10 დღემდე), რომელიც შესაძლებელია აუცილებელი გახდეს სენბის მიერ შესყიდული ელექტროენერგიის ღირებულების დაფარვისათვის (შესაბამისი გარანტიის განაღდებამდე) და რომელზეც სენბის წვდომა უნდა ჰქონდეს მოთხოვნიდან მომდევნო სამუშაო დღეს. მოკლევადიანი სესხის საკრედიტო ლიმიტი უნდა იყოს 15 მლნ ლარი;

5.2. სენბის შემოსავლის სეზონურობის გათვალისწინებით, სენბის შესაძლოა დასჭირდეს **3 წლამდე ვადიანობის** სესხი ეროვნულ ვალუტაში, საოპერაციო ხარჯების დაფარვის მიზნით. აღნიშნული სესხის საჭიროების შესახებ ბანკს ეცნობება გონივრული პერიოდით (სულ მცირე - 1 კვირით) ადრე. **სესხის ლიმიტი უნდა იყოს 1 მლნ ლარი.**

6. სესხის წინსწრების დაფარვისთვის სენბის არ უნდა დაეკისროს რაიმე სახის პირგასამტეხლო, საკომისიო ან სხვა საფასური;

7. ვალუტის კონვერტაცია (ევრო, აშშ დოლარი);

8. სენბისთვის ბაზრის მონაწილეების მიერ წარდგენილი ფინანსური უზრუნველყოფის საშუალებების ნამდვილობის შემოწმება[2] **სენბისთვის საფასურის დარიცხვის გარეშე;**

[2] საქართველოში მოქმედი საბანკო დაწესებულებების/სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული დოკუმენტის ნამდვილობა უნდა შემოწმდეს უპირობოდ, ხოლო სხვა ორგანიზაციების, ასეთი საჭიროების შემთხვევაში, მიერ გაცემული დოკუმენტის ნამდვილობის შემოწმების მიზნით, ბანკმა უნდა იმოქმედოს მისი შესაძლებლობების ფარგლებში.

9. ჯგუფური გადარიცხვებისთვის (წინასწარ განსაზღვრული ფორმატის ფაილის ატვირთვით) ინტერნეტ ბანკში შესაბამისი პროცესის ინტეგრაცია, **სენზისთვის საფასურის დარიცხვის გარეშე;**

10. სენზის საკლირინგო აპლიკაციასთან ინტერნეტ ბანკის ინტეგრაცია API კავშირის მეშვეობით: გადასარიცხი თანხების საგადახდო დავალებების ატვირთვა სენზის ინტერნეტ ბანკის სისტემაში და ჩარიცხვების შესახებ სრული ინფორმაციის მიღების ავტომატიზაცია და, ამ მიზნით, საჭირო მექანიზმის დანერგვა. აპლიკაციის ინტეგრაციისთვის **ბანკის მხრიდან გასაწევი მომსახურებისათვის სენზის არ შეიძლება მოეთხოვოს რაიმე საფასური, ასევე, კავშირის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსასყიდლოდ.** ინტეგრაციის პროცესის დასრულება შესაძლებელი უნდა იყოს მოთხოვნიდან არაუმეტეს 1 თვის ვადაში (ვადაგადაცილებად არ ჩაითვლება სენზის მიზეზით პროცესის შეფერხება);

11. სენზისთან კომუნიკაციის ელექტრონული არხების (სხვადასხვა ტიპის დოკუმენტაციის მიმოცვლა) სრულყოფილად ინტეგრაცია სამუშაო პროცესში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაუშვებელია კანონმდებლობით), **სენზისთვის საფასურის დარიცხვის გარეშე;**

12. სენზისთან სამუშაო პროცესში ფაქტორინგის ელექტრონული პლატფორმის ინტეგრაცია. პლატფორმის ინტეგრაციისთვის ბანკის მხრიდან გასაწევი მომსახურებისათვის **სენზის არ შეიძლება მოეთხოვოს რაიმე საფასური, ასევე, კავშირის შენარჩუნება უნდა მოხდეს უსასყიდლოდ.** ინტეგრაციის პროცესი უნდა დასრულდეს 2022 წლის 1 დეკემბრამდე;

13. სენზის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში საჭიროებისამებრ მონაწილეობა, აგრეთვე, სენზისთან დადებული ხელშეკრულების სრულფასოვანი შესრულებისა და შესაბამისი მოხსენების/ინფორმაციის გაცვლის კოორდინაციისათვის ბანკის სათანადო კვალიფიკაციის წარმომადგენლის (პერსონალური ბანკირის) დანიშვნა და საბანკო პროდუქტებთან/მომსახურებებთან დაკავშირებით საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, თვეში არაუმეტეს 10 საათისა, **სენზისთვის საფასურის დარიცხვის გარეშე;**

14. სახელფასო პროგრამა სენზის თანამშრომლებისთვის;

15. კანდიდატი ბანკი უფლებამოსილია სენზის შესთავაზოს დამატებითი/ინოვაციური მომსახურება/პროდუქტი, რომელიც არ არის განსაზღვრული ამ თავით, მაგრამ შესაძლოა იყოს სარგებლიანი სენზისათვის (მისი ოპერირების სპეციფიკის

გათვალისწინებით). ასეთი შემოთავაზება, არსებობის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება შერჩევისას.

## 4. შერჩევის პროცედურა

### 1. განაცხადის წარდგენა

შერჩევაში მონაწილე ბანკებმა შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ელექტრონულად ხელმოწერილი განაცხადები (რომელიც, ბანკის საიდენტიფიკაციო და საკონტაქტო ინფორმაციის გარდა, სულ მცირე, უნდა მოიცავდეს შეთავაზებას ამ დოკუმენტის დანართი #10-ის შესაბამისად) უნდა წარადგინონ არაუგვიანეს 2022 წლის 27 ივლსის 15:00 საათისა, შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: procurement@genex.ge.

განაცხადში მოცემული უნდა იყოს ამ დოკუმენტის მე-3 თავით გათვალისწინებულ ვალდებულებებზე ბანკის შეთავაზება. შეთავაზებაში:

ა) გამოხატული უნდა იყოს ამ დოკუმენტის მე-3 თავით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მზადყოფნა, სენბის განსაზღვრული ან, ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ბანკის შემოთავაზებული პირობებით;

ბ) სრულად უნდა იყოს დაფარული/დადასტურებული ამ დოკუმენტის მე-6 და მე-7 თავებით განსაზღვრული ყველა მინიმალური მოთხოვნა და შერჩევის კრიტერიუმი.

განაცხადთან დაკავშირებული შეკითხვების შემთხვევაში, შერჩევაში მონაწილე ბანკი სენბის უნდა დაუკავშირდეს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: procurement@genex.ge.

### 2. შერჩევის ეტაპები

შერჩევის პირველი ეტაპი მოიცავს ამ დოკუმენტის მე-6 თავით განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნებთან განაცხადების შესაბამისობის შემოწმებას და კანდიდატი ბანკებისათვის შემოწმების შედეგებზე ინფორმაციის მიწოდებას. ამ პროცესს სენბი ასრულებს განაცხადების მიღების ვადის გასვლიდან ერთ კვირაში.

შერჩევის ეტაპზე სენბი უფლებამოსილია მიმართოს კანდიდატ ბანკს წარმოდგენილ განაცხადში ასახული ინფორმაციის დაზუსტების ან განმარტების მოთხოვნით, კანდიდატი ბანკის მიერ შეთავაზებაში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

შერჩევის მეორე ეტაპი მოიცავს მეორე ეტაპზე გადასული კანდიდატი ბანკებიდან ამ დოკუმენტის მე-7 თავით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით საუკეთესო შეთავაზების იდენტიფიცირებას და გამარჯვებულის გამოვლენას.

შერჩევის მეორე ეტაპი სრულდება წინადადებების წარდგენის ვადის გასვლიდან ორი კვირაში, კანდიდატი ბანკებისთვის შერჩევის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით.

## 5. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

სენბი ვალდებულია, დაიცვას შერჩევის პროცესში მიღებული კომერციული და პერსონალური ინფორმაციის კონფიდენციალურობა, კანონმდებლობის შესაბამისად. **კანდიდატმა თავად უნდა მიუთითოს იმ ინფორმაციაზე,** რომელიც მას მიაჩნია კომერციულ საიდუმლოებად.

## 6. მინიმალური მოთხოვნები

შერჩევაში მონაწილეობისათვის, კანდიდატი ბანკი უნდა იყოს საქართველოს რეზიდენტი ბანკი და აკმაყოფილებდეს ქვემოთ მოცემულ ყველა მინიმალურ მოთხოვნას:

ა) უნდა ჰქონდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი შეფასება, რომელიც:
- მინიჭებულია ერთ-ერთი შემდეგი საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოს მიერ: Fitch, Moody’s, Standard & Poor’s; და
- არ არის (BB-; Ba3) საკრედიტო რეიტინგზე ნაკლები.

ბ) უნდა ჰქონდეს საქართველოში საბანკო მომსახურების გაწევის, სულ მცირე, ხუთწლიანი გამოცდილება.

## 7. შერჩევის კრიტერიუმები

იმ კანდიდატ ბანკებს შორის, რომლებიც აკმაყოფილებენ მინიმალურ მოთხოვნებს, შეირჩევა საუკეთესო შეთავაზების წარმდგენი ბანკი. კანდიდატის საბოლოო შეფასება გამოითვლება ქვემოთ მოცემულ კრიტერიუმების მიხედვით[3].

| **კრიტერიუმი** | **პრიორიტეტი** <br> *(1 - ყველაზე მეტად პრიორიტეტული,* <br> *6 - ყველაზე ნაკლებად პრიორიტეტული)* |
|---|---|
| ანგარიშზე/ანგარიშებზე სარგებლის დარიცხვის პირობები (ლარი, ევრო, აშშ დოლარი) | 1 |
| ეროვნულ ვალუტაში სესხის პირობები (3 წლამდე ვადიანობა) | 2 |
| ეროვნულ ვალუტაში მოკლევადიანი სესხის პირობები (10 დღემდე ვადიანობა) | 3 |
| ბანკის მიერ შემოთავაზებული მექანიზმი სენბის საგადახდო დავალების (ეროვნულ ვალუტაში) შეძლებისდაგვარად მოკლე დროში შესრულებასთან დაკავშირებით | 4 |
| ვალუტის კონვერტაციის პირობა (ევრო, აშშ დოლარი) | 5 |
| უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის პირობები (ევრო, აშშ დოლარი) | 6 |
| სახელფასო პროგრამის პირობები[4] | - |

შერჩეული ბანკის მე-3 თავით გათვალისწინებული ვალდებულებები, აგრეთვე, შერჩეული ბანკის პასუხისმგებლობა, ამ ვალდებულების ჯეროვნად და დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, აისახება ბანკსა და სენბის შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ვინაიდან ინტეგრაციის სერვისები (3.10, 3.11 და 3.12 პუნქტებით განსაზღვრული მომსახურებები) კრიტიკულად მნიშვნელოვანია სენბისათვის, ამ სერვისების მიწოდებისათვის მომსახურების პირობები (ე.წ. Service Level Agreement, SLA)

---

[3] იმის გათვალისწინებით, რომ მე-3 თავში განსაზღვრული მომსახურების/პროდუქტის ნაწილი, სადაც ეს მითითებულია, სენბისთვის მიწოდებული იქნება საფასურის გარეშე.

[4] სახელფასო პროგრამა უნდა იყოს ბანკის მიერ წარმოდგენილი, თუმცა, მისი პირობები არ იქნება გათვალისწინებული შერჩევის პროცესში.

განსაზღვრა უნდა მოხდეს ხელშეკრულებაში. სენბის იტოვებს უფლებას, არ გააფორმოს ხელშეკრულება შერჩეულ ბანკთან, თუ ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება პასუხისმგებლობისა და მომსახურების პირობებზე.

## 8. ხელშეკრულების გაფორმება და პირობები

შერჩეულ ბანკთან ხელშეკრულება გაფორმდება მოსალოდნელია შერჩევის პროცესის დასრულებიდან (შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან) 10 სამუშაო დღის ვადაში.

სენბის განზრახული აქვს შეარჩიოს ერთი მომსახურე ბანკი. ხელშეკრულება გაფორმდება 2 (ორი) წლის ვადით, რომელიც, ვადის გასვლის შემდეგ, შეიძლება გაგრძელდეს დამატებით ორი წლით, ბანკის მხრიდან შეთავაზებული პირობების შენარჩუნების ან გაუმჯობესების შემთხვევაში.

**დანართი №1.**

**კომერციული ბანკის შეთავაზება**

*(ამ დანართში არ გამოიყენოთ კანდიდატი ბანკის დასახელება ან რაიმე სხვა იდენტიფიკატორი)*

კანდიდატი ბანკი ადასტურებს, რომ იგი აკმაყოფილებს „სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ მომსახურე კომერციული ბანკის შერჩევის წესის“ მე-6 თავით განსაზღვრულ მოთხოვნებს და ამ დანართთან ერთად წარმოადგენს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

ამავდროულად:

- კანდიდატი ბანკის შეთავაზება მოიცავს 2 წელს (24 თვეს);
- კანდიდატი ბანკი ადასტურებს მის მზადყოფნას და ფინანსურ/ტექნიკურ შესაძლებლობას, სენზის სრულად და ეფექტიანად გაუწიოს/მიაწოდოს „სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ მომსახურე კომერციული ბანკის შერჩევის წესის“ მე-3 თავით განსაზღვრული მომსახურებები/პროდუქტები;
- კანდიდატი ბანკი ადასტურებს და გამოთქვამს მზადყოფნას, „სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ მომსახურე კომერციული ბანკის შერჩევის წესის“ მე-3 თავით განსაზღვრული მომსახურებები სენზის გაუწიოს საფასურის/საკომისიოს დარიცხვის გარეშე, თუ ეს მოთხოვნილია ამავე თავით;
- კანდიდატი ბანკი სენზის სთავაზობს „სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ მომსახურე კომერციული ბანკის შერჩევის წესის“ მე-3 თავით განსაზღვრულ სხვა მომსახურებებს/პროდუქტებს შემდეგი პირობებით:

| მომსახურება/პროდუქტი | მომსახურების/პროდუქტის მახასიათებლები და შეთავაზებული პირობები |
|---|---|
| ანგარიშზე/ანგარიშებზე სარგებლის დარიცხვის პირობები (ლარი, ევრო, აშშ დოლარი) | |
| ეროვნულ ვალუტაში სესხის პირობები (3 წლამდე ვადიანობა) | |
| ეროვნულ ვალუტაში მოკლევადიანი სესხის პირობები (10 დღემდე ვადიანობა) | |

| | |
|---|---|
| ბანკის მიერ შემოთავაზებული მექანიზმი სენზის საგადახდო დავალების (ეროვნულ ვალუტაში) შეძლებისდაგვარად მოკლე დროში შესრულებასთან დაკავშირებით | |
| ვალუტის კონვერტაციის პირობა (ევრო, აშშ დოლარი) | |
| უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის პირობები (ევრო, აშშ დოლარი) | |
| სახელფასო პროგრამის პირობები | |
| დამატებითი პროდუქტი/მომსახურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში: ____________________________ | |

ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

________________________________